ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302410174**
თარიღი: **10/04/2024**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს ხელმძღვანელობს ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-XII თავისა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად.

დადგენილებაში გაწერილია მშენებლობის ის სახეები, რომელზეც მუნიციპალიტეტი გასცემს მშენებლობის ნებართვას, ხოლო კანონში იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

კანონში გაწერილი ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან, ერთერთ საბუთს წარმოადგენს - სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ოდენობის განსაზღვრის მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებით დამტკიცებული აქვს წესი - ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ”. აღნიშნულ წესში არ არის გაწერილი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი დემონტაჟის სამშენებლო სამუშაოების გასაცემად. რის გამოც წესი

საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება

ა) პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

3. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

4. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი.

ეკა გუჯაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და სამართლებრივი
უზრუნველყოფის სამსახური

ადრესატი:

ალეკო კირვალიძე
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური-სამსახურის უფროსი
(დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

მამუკა ვადაჭკორია
შიდა აუდიტის სამსახური-სამსახურის უფროსი

წერილის ნომერი:**01-302408170**
თარიღი: **21/03/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,

სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის

შემსრულებელს ბატონ ალეკო კირვალიძეს

ბატონო ალეკო,

როგორც თქვენთვის ცნობილია ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ მე-100 მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანო არის, შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

,,მშენებლობის ნაბართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ 2019 წლის 31 მაისის N255-ე დადგენილების შესაბამისად, მშენებლობის ერთ- ერთ სახედ მიჩნეულია დემონტაჟი, რომელზეც ნებართვა გაიცემა.

ამავე კოდექსის, 106-ე მუხლის პირველი პუნქტი, ითვალისწინებს იმ პროექტებისა და დოკუმენტაციის ჩამონათვალს, რომელსაც უნდა შეიცავდეს, მუნიციპალიტეტის მერიაში, მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი სანებართვო განაცხადი. აღნიშნული პუნქტის ჩამონათვალიდან ასეთ, ერთ-ერთ აუცილებელ დოკუმენტად მიჩნეულია, სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტი;

ზემოაღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის მიზნით, მშენებლობის ნებართვის მაძიებელი, მშენებლობის ნებართვის მიღების თაობაზე, მოსაკრებელს იხდის ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნულ წესში, არ არის გაწერილი მშენებლობის ერთ-ერთი სახის, კერძოდ დემონტაჟის ნებართვისათვის გასაცემად გათვალისწინებული მოსაკრებლის ოდენობა.

მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება, მერიის

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის დასკვნის საფუძველზე, განიხილავს დემონტაჟის თაობაზე - სანებართვო დოკუმენტაციას. განყოფილება ზემოაღნიშნული წესიდან გამომდინარე, ვერ ადგენს ხარვეზს მოსაკრებლის ქვითრის წარმოდგენის თაობაზე და იმ მოტივით რომ არ დაირღვეს განმცხადებლის უფლებები და კანონდებლობით გათვალისწინებული ვადები ამზადებს, მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს.

ზემოაღნიშნულ წესში ცვლილების ასახვის მიზნით, გთხოვთ გონივრულ ვადაში, წარმოადგინოთ თქვენი სამსახურებრივი პოზიცია - მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელის განსაზღვრის თაობაზე, თითოეული კლასის ობიექტის დემონტაჟისათვის.

პატივისცემით,

შოთა ჩაგუნავა

ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და
ეკონომიკის სამსახური

წერილის ნომერი:**03-302408217**
თარიღი: **22/03/2024**

ადრესატი:

შოთა ჩაგუნავა
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური-სამსახურის უფროსი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსს შოთა ჩაგუნავას

ბატონო შოთა,

თქვენი წერილის პასუხად, სადაც მიუთითებთ საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის საჭიროებაზე, რომელიც ითვალისწინებს შენობა-ნაგებობის დემონტაჟის დროს მშენებლობის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებას და მისი ოდენობის განსაზღვრას გაცნობებთ, რომ ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურს ასეთი მოსაკრებლის შემოღების შემთხვევაში შესაძლებლად მიაჩნია თითოეული კლასის ობიექტისათვის განისაზღვროს შემდეგი მოსაკრებლის ოდენობა: IIკლასი-50 ლარი, III კლასი-200ლარი IVკლასი400 ლარი.

პატივისცემით,

ალეკო კირვალიძე

ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური-სამსახურის უფროსი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2024 წლის აპრილი

ქ. ლანჩხუთი

,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106[1]–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2]–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**

დანართი

ცნობა

,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2024 წლის --- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2024 წლის აპრილი

,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი 27/05/2022 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.112.016482) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-2 მუხლის შემდგომ დაემატოს 2^1 მუხლი:

,,2^1 მუხლი

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი დემონტაჟის სამშენებლო სამუშაოების ჩასატერებლად განისაზღვროს:

ა) მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტით გათვალისწინებულ არეალში, II კლასის ობიექტებისთვის – 50 ლარი;

ბ) III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარი;

გ) IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარი;“

ბ) დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული დანართის ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშ ენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის“ მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. მოსაკრებლის დაბეგვრის ობიექტი

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტია ახალი მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან დემონტაჟისთვის გათვალისწინებული ობიექტი, რომელზედაც გაიცემა მშენებლობის ნებართვა“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**